თემა 5. <u>პროგრამა Recycle Bin</u>. ფაილებისა და საქაღალდეების წაშლა. ნავიგაცია კომპიუტერში - <u>პროგრამა Windows Explorer.</u> <u>Windows-ის საცნობარო</u> <u>სისტემა</u>.

ფაილებისა და საქაღალდეების წასაშლელად შეიძლება გამოვიყენოთ სხვადასხვა ხერხი:

- თუ ობიექტი განთავსებულია **Desktop**-ზე შეიძლება:
 - ვისარგებლოთ ობიექტის კონტექსტური მენიუს ბრძანებით Delete;
 - დავაჭიროთ კლავიატურაზე Delete კლავიშს;
 - ავიღოთ კლავიშების კომბინაცია Ctrl + D;
 - ჩავავლოთ ობიექტის პიქტოგრამას მაუსი, მივიტანოთ სანაგვე ყუთის **Recycle Bin** -ის პიქტოგრამაზე და გავუშვათ ხელი.
- თუ წასაშლელი ობიექტი განთავსებულია სხვა საქაღალდეში ზემოთ
 ჩამოთვლილი ხერხების გარდა შეიძლება:

- ვისარგებლოთ ბრძანებით File/ Delete;

- გამოვიყენოთ ფანჯრის ინსტრუმენტების პანელზე 🔀 ღილაკი.

უნდა გვახსოვდეს, რომ წასაშლელი ობიექტი წინასწარ *უნდა იყოს მონიშნული*.

ობიექტის ნებისმიერი ხერხით წაშლის შემთხვევაში იგი აღმოჩნდება სანაგვე ყუთში. შევასრულოთ ორმაგი დაწკაპუნება **Recycle Bin**-ის პიქტოგრამაზე. გაიხსნება ფანჯარა **Recycle Bin**. მასში გამოჩნდება სანაგვე ყუთში "გადაყრილი" ყველა ობიექტების ჩამონათვალი. ეს ობიექტები ჯერ კიდევ არსებობს კომპიუტერის მეხსიერებაში და საჭიროების შემთხვევაში მათი აღდგენა შეიძლება.

ობიექტის აღდგენისათვის უნდა მოვიქცეთ შენდეგნაირად: მოვნიშნოთ აღსადგენი ობიექტი, შევასრულოთ ბრძანება File/Restore ან ობიექტის კონტექსტური მენიუს ბრძანება Restore.

🥩 Recycle Bin			😨 Recycle Bin	
File Edit View Fa	avorites Tools Help		File Edit View Favorites Tools Help	
Restore Create Shortcut	🤌 🔎 Search 🌔 Folders 🕼 🕉	»	🕞 Back - 🕥 - 🎓 🔎 Search 🍺 Folders	🔉 🌶 🔭
Delete	· · · · · · · · · · · · · · · · · · ·	Go	Address 🦪 Recycle Bin	💙 🛃 Go
Rename Properties	Clasi.exe 🖬 FIB.bak	~	bowdef.csm clasi.exe clfr cifr namrayli.exe Clasi.lic Trit	B.bak b.exe
Close	🖬 clasi.ild 🔤 Fib.ilc	50	🖬 cifr_namravli.ilc 🖬 clasi.ild 🖬 Fib	b.ilc
🔤 cirr_namravii.iid	🖬 clasi.ilf 🛛 🔤 Fib.ild		🖬 cifr_namravli.ild 🔤 clasi.ilf 🔤 Fib	b.ild
🔟 cifr_namravli.ilf	🖾 clasi.ils 🛛 🖬 Fib.ilf		🔟 cifr_namravli.ilf 🛛 🔤 clasi.ils 🖬 Fib	5.ilf
🖬 cifr_namravli.ils	🖬 clasi.obj 🛛 🖬 Fib.ils		🖬 cifr_namravli.ils 🛛 🖬 clasi.o 🛛 🥵 🖬 Fib	b.ils
🚾 cifr_namravli.tds	🖬 clasi.tds 🛛 🖬 Fib.obj		🖬 cifr_namravli.tds 🛛 🖬 clasi.to 👝 🖬 Fit	o.obj
🚾 clasi.bak	🖾 Copy of Windows_4.doc 🔤 Fib.tds		🖬 clasi.bak 🕅 Copy 🤅 🔤 Fib	b.tds
the second s	Contraction of the second s		Delete	
Returns the selected	items to their original locations.	>	Returns the selected items to their organizations	>

ორივე შემთხვევაში ობიექტი (ფაილიც და საქაღალდეც) იქნება აღდგენილი (დაბრუნდება) იმ საქაღალდეში, სადაც წაშლამდე იმყოფებოდა. თუ გვინდა აღსადგენი ობიექტის მოთავსება სხვა საქაღალდეში, უნდა ვისარგებლოთ ობიექტის კონტექსტური მენიუს ბრძანებით Cut და შემდეგ ჩავსვათ ობიექტი დანიშნულების საქაღალდეში.

დროთა განმავლობაში Recycle Bin-ში დაგროვილი ფაილებისა და საქაღალდეების რაოდენობა იზრდება, და საჭირო ხდება სანაგვე ყუთის გასუფთავება. ამისათვის უნდა შევასრულოთ ბრძანება File/Empty Recycle Bin ან სანაგვე ყუთის კონტექსტური მენიუს ბრძანება Empty Recycle Bin. ამის შემდეგ წაშლილი ობიექტების აღდგენა შეუძლებელია. თუ კი საჭიროა მხოლოდ ერთის ან

ი.ხუციშვილი

რამდენიმე ობიექტის წაშლა კომპიუტერის მეხსიერებიდან (სანაგვე ყუთიდან), უნდა ჩავატაროთ ფანჯარაში მოთავსებული ობიექტის (ობიექტების) წაშლისთვის განკუთვნილი მოქმედებები (იხ. ზემოთ).

სანაგვე ყუთის მოწყობა ნიშნავს მისი პარამეტრების (თვისებების) დაყენებას. Recycle Bin-ის კონტექსტურ მენიუში ავირჩიოთ პუნქტი Properties. გაიხსნება დიალოგური ფანჯარა Recycle Bin Properties. ფანჯარაში აქტიურია ჩანართი (ყუა) Global.

Recycle	e Bin Properties 🛛 🕐 🔀
Global	Local Disk (C:)
	Configure drives independently Use one setting for all drives: Do not move files to the Recycle Bin. Remove files immediately when deleted 10%
	Display delete confirmation dialog

აქედან ხდება სანაგვე ყუთის იმ პარამეტრების დაყენება, რომლებიც ყველა დისკისთვის ერთნაირია. თუ ჩართულია რეჟიმი Do not move files to the Recycle Bin. Remove files immediately when deleted, წასაშლელი ფაილები აღარ მოთავსდება სანაგვე ყუთში, ანუ საბოლოოდ წაიშლება დისკიდან. თუ ეს რეჟიმი არ არის გააქტიურებული, მაშინ Maximum size of Recycle Bin (percent of each drive) მცოცავას გადატანით შეგვიძლია სანაგვე ყუთის ზომის რეგულირება (რეკომენდირებულია დისკის 10%). ჩართული Display delete confirmation dialog რეჟიმი უზრუნველყოფს გამაფრთხილებელი ფანჯრის გამოტანას სანაგვე ყუთში ადრე მოთავსებული ობიექტების წაშლის შესახებ იმ დროს, როდესაც სანაგვე ყუთი გადავსებულია, ჩვენ კი ვცდილობთ მოვათავსოთ მასში ახალი ობიექტი (ვასრულებთ წაშლის ოპერაციას). საქმე ისაა, რომ მსგავს შემთხვევაში ძველი ობიექტები გამოიდევნება ყუთიდან და საბოლოოდ იკარგება.

ნებისმიერი საქაღალდის კონტექსტურ მენიუს აქვს ბრმანება Explore. თუ შევასრულებთ ამ ბრძანებას, მაგალითად My Computer-ის კონტექსტური მენიუდან, საქაღალდე გაიხსნება და მის ფანჯარას ექნება ჩვენთვის უჩვეულო განსხვავებული თუ გახსნილ სახე. ეფექტს მივაღწევთ, საქაღალდეში იგივე დავაჭერთ 6 Folders ინსტრუმენტების პანელზე ღილაკს . ამბობენ, რომ საქაღალდე გაიხსნა Windows Explorer-ში. პროგრამა Windows Explorer, ე.წ. "მეგზური", Windows-ს მოყვება და მისი დანიშნულებაა გაუადვილოს მომხმარებელს საქაღალდეთა სისტემასთან მუშაობა.



Windows Explorer-ის გამოძახება შეიძლება აგრეთვე ბრძანებით

Start/Programs/Accessories/Windows Explorer.

ფანჯრის დამატებით დაფაზე ვხედავთ საქაღალდეების ხეს - ერთმანეთში ჩალაგებული საქაღალდეების სისტემას. My Computer-റം სტანდარტულ (ჩვეულებრივ) ფანჯარაში მოცემულ საქაღალდეზე ვერ ട്ടറഎ്യുറთ, ცარიელია იგი, თუ შეიცავს ფაილებსა და ქვესაქაღალდეებს, სანამ არ გავხსნით მას.

Windows Explorer-ში კი კარგად ჩანს საქაღალდეების იერარქია. ფანჯრის მარცხენა ნაწილში დამატებით დაფაზე ჩანს მხოლოდ საქაღალდეების იერარქია, ფაილები აქ არ გამოჩნდება. ფანჯრის მირითად არეში (მარჯვენა ნაწილში) ჩანს იმ საქაღალდის შიგთავსი, რომელიც ხეში აქტიურია. ცხადია, აქ შეიძლება გამოჩნდეს ფაილებიც და საქაღალდეებიც.

ხეში საქაღალდეების პიქტოგრამების წინ "+" და "-" ნიშნებს ვხედავთ. "+" ნიშანი აჩვენებს, რომ აღნიშნული საქაღალდე ქვესაქაღალდეებს შეიცავს, მაგრამ მოცემულ მომენტში ისინი არ ჩანს ეკრანზე (დამალულია). "-" ნიშანი კი მიუთითებს, რომ საქაღალდე შეიცავს ქვესაქაღალდეებს, რომლებიც მოცემულ მომენტში ეკრანზეა გამოტანილია. თუ საქაღალდის პიქტოგრამის წინ არავითარი ნიშანი არ არის, იგი ქვესაქაღალდეებს არ შეიცავს.

"+" ნიშანზე დაწკაპუნებით შესაბამისი საქაღალდე გააქტიურდება და ეკრანზე გამოჩნდება მისი ქვესაქაღალდეებიც, ხოლო "+" ნიშანი "-" ნიშნით შეიცვლება.

"-" ნიშანზე დაწკაპუნებით კი პირიქით - გახსნილი საქაღალდე დაიხურება და ხეში მისი ქვესაქაღალდეები დაიმალება, ხოლო "-" ნიშანი "+"- ით შეიცვლება.

თუ მაუსის კურსორს მივიტანთ დამატებითი დაფის მარჯვენა კიდესთან, იგი ორმხრივი ისრის სახეს მიიღებს. ამ მომენტში შეიძლება ჩავავლოთ კიდეს მაუსი და გადავწიოთ იგი საჭირო მიმართულებით დამატებითი დაფის ზომის გაზრდის ან შემცირების მიზნით.

თუ ხეში საქაღალდეს გავააქტიურებთ, ანუ დავაწკაპუნებთ მასზე, ფანჯრის ძირითად (მარჯვენა) ნაწილში გამოვა ამ საქაღალდის შემცველობა.

შეგვიძლია მოცემული საქაღალდის ქვესაქაღალდე პირდაპირ ფანჯრის მარჯვენა ძირითადი ნაწილიდანაც გავააქტიუროთ. ამისათვის მასზე ორჯერ უნდა დავაწკაპუნოთ.

ამ ტიპის ფანჯარაში შეგვიძლია ფანჯრის მენიუს ყველა ბრძანებების შესრულება. გარდა ამისა, შეიძლება მოვახდინოთ სწრაფი კოპირება და გადატანა. გადატანისათვის საკმარისია გავააქტიუროთ საქაღალდე, ფანჯრის ძირითად ნაწილში მოვნიშნოთ გადასატანი ობიექტი, ჩავავლოთ მას მაუსი, გადავათრიოთ



დანიშნულების საქაღალდის პიქტოგრამაზე დამატებით დაფაში და ხელი გავუშვათ.

კოპირებისათვის კი იგივე მოქმედებები უნდა შევასრულოთ Ctrl კლავიშის დაჭერილ მდგომარეობაში.

Windows-ის სტანდარტული ფანჯრის მენიუს მირითადი ბრმანებები უკვე ბევჯერ გამოვიყენეთ. ახლა მიმოვიხილოთ მენიუს ბრმანებები თითოეული პუნქტის მიხედვით.

<u>File მენიუ</u>

File/Open - გახსნა:

- თუ ფანჯარაში მონიშნულია საქაღალდე, **Open** ბრმანების შესრულება გახსნის ამ საქაღალდის შესაბამის ფანჯარას, რომელშიც გამოჩნდება მასში მოთავსებული საქაღალდეებისა და ფაილების პიქტოგრამები.

- თუ მონიშნულია ფაილი, ამუშავდება ამ ფაილის შესაბამისი პროგრამა. მაგალითად, პიქტოგრამით აღნიშნული ფაილისთვის გაიშვება პროგრამა WordPad, რომელშიც ფაილი იყო აკრეფილი, და ამავდროულად შესაბამისი ტექსტი ეკრანზე გამოჩნდება. მონიშნული ფაილის გახსნა შეიძლება File/Open With ბრმანებითაც, რომელიც მოგვცემს საშუალებას თავად ავირჩიოთ ფაილის გასაშვები პროგრამა.

File/Open ბრძანების შესრულება ანალოგიურია ფანჯარაში მონიშნულ ობიექტზე ორჯერადი მარცხენა დაწკაპუნების შესრულებისა.

File/Scan with აამუშვებს კომპიუტერში ჩაწერილ ანტივირუსულ პროგრამას, რომლის საშუალებითაც ხდება კომპიუტერული ვირუსების მომებნა და მათგან კომპიუტერის გაწმენდა.

File/Add to archive... ბრმანებით ხდება მონიშნული საქაღალდისა თუ ფაილის შეკუმშვა (დაარქივება) სასურველი სახელის დარქმევით.

File/Sharing and Security... ბრმანება მონიშნულ საქაღალდესთან ლოკალურ ქსელში სხვებისთვის მუშაობის უფლების მისაცემად გამოიყენება.

File/Send to ბრძანებით შეგვიძლია გადავაგზავნოთ (გადავაკოპიროთ) ფანჯარაში მონიშნული ობიექტი სტანდარტულ საქაღალდეებში, მაგალითად, Desktop-ზე, My Documents-ში DVD/CD-RW Drive-ზე ან Removable Disk-ზე.

File/New ბრძანებით ფანჯარაში შეიქმნება ახალი ობიექტი.

File/Create Shortcut ბრძანებით შეიქმნება იმ ობიექტის იარლიყი, რომელიც ბრძანების შესრულების მომენტში აქტიურია (მონიშნულია).

File/Delete წაშლის მონიშნულ ობიექტს.

File/Rename ბრმანებით ხდება აქტიური ობიექტის სახელის შეცვლა (იგივე მოქმედებისაა კლაიატურის კლავიში F2)

File/Properties ბრძანება სხვადასხვა ტიპის ობიექტისთვის გამოიტანს სხვადასხვა დიალოგურ ფანჯარას: 1, 2 ან 6 ჩანართითაც კი. ამ ბრძანების ტოლფასია ინსტრუმენტების პანელზე Properties ღილაკისა და Alt+Enter კლავიშების კომბინაციის მოქმედება. ობიექტის დიალოგური ფანჯრის General ჩანართში ჩანს ობიექტის პიქტოგრამა, ტიპი, სახელი, ადგილმდებარეობა და ზომა, ინფორმაცია

ობიექტის შექმნის, ბოლო მოდიფიკაციისა და ბოლო გამოძახების თარიღისა და დროის შესახებ. აქ შეიძლება ობიექტის ატრიბუტების შეცვლა.

File/Close ბრძანების შესრულების შედეგად ფანჯარა დაიხურება.

<u>Edit მენიუ</u>

Undo ბრმანებაში Undo-ს ემატება ბოლო შესრულებული მოქმედების განმსაზღვრელი ტერმინი. მაგალითად, თუ ბოლო შესრულებული მოქმედება იყო კოპირება - იქნება Undo Copy. Undo-ს (ან კლავიშების Ctrl+Z კომბინაციის) შესრულება ნიშნავს ბოლო მოქმედების გაუქმებას.

Cut, Copy, Paste და Paste Shortcut ბუფერთან მოქმედების ბრძანებებს წარმოადგენს და ადრე განხილული გვაქვს. თუ ბუფერში გადატანილია ობიექტი, Paste Shortcut ბრძანება ფანჯარაში მის იარლიყს შექმნის.

Select All (Ctrl+A) მონიშნავს ყველა ობიექტს ფანჯარაში.

Invert Selection მონიშვნის ინვერსიას ახდენს: მონიშნული ობიექტები მოუნიშნავი გახდება, ხოლო მოუნიშნავი - მოინიშნება.

ამ მენიუს ძირითადი ბრძანებები - Toolbars, Status Bar, Thumbnails, Tiles, Icons, List, Details - ჩვენ ადრე განვიხილეთ.

Arrange Icons by ბრძანებით შეგვიძლია ფანჯრის პიქტოგრამები დავალაგოთ სახელის, ტიპის, ზომისა და შექმნის თარიღის მიხედვით.

Choose Details… პუნქტზე დაწკაპუნებით გამოგვაქვს დიალოგური ფანჯარა, რომელშიც შეიძლება მოვნიშნოთ ფანჯრის ობიექტის ჩვენთვის საჭირო დეტალები ობიექტის სტატუსი, ავტორი, თუ კი ის დოკუმენტია - მისი სათაური და სხვა.

Customize This Folder... მენიუს ბრმანება მოგვცემს საშუალებას ფანჯრის შესაბამის საქაღალდის პიქტოგრამას თან დავურთოთ ნახატი ან შევცვალოთ საქაღალდის სტანდარტული პიქტოგრამა 🏳 განსხვავებული გამოსახულებით, მაგალითად, ასეთით: 🧭.

Refresh ბრძანების ანალოგიურია კლავიატურის F5 კლავიშის მოქმედება - ამ ბრძანებით ხდება ფანჯრის შიგთავსის განახლება (ახლიდან გამოჩენა).

<u>Help მენიუ</u> განკუთვნილია მომხმარებლის დასახმარებლად.

Help and Support Center ბრძანება უზრუნველყოფს საცნობარო სისტემის გამოტანას, რომელშიც აღწერილია Windows-ის მუშაობის პრინციპები.

დავაჭიროთ კლავიატურაზე F1 კლავიშს ან გავააქტიუროთ Help/Help and Support Center ბრძანება. ეკრანზე გამოვა დიალოგური საცნობარო ფანჯარა.

🕲 Help and Support Center				
G tack .	🗿 · 🏠 🚺	Index 👷 Figvarites 🕑 History 🔟 Support "		
Search	Set search options	Part Cen Windows XP Profest Windows XP Profest		
Pick a	Help topic	Ask for assistance		
2	 What's new in Windows XP Music, video, games, and photos Windows basics Protecting your PC: security basics 	Inste a friend to correct to your computer with Remote Assidume Get support, or find information in Windows 3P newsprages Pick a task Finder a task Finder a task		
8	 Networking and the Web Working remotely System administration 	Find compatible hardware and software for Windows (39 Windo changes to your computer with System Restore Used changes to your computer with System Restore dispose problem		
-	Customizing your computer Accessibility	Did you know?		

ფანჯარაში ჩამონათვალის სახით შემოთავაზებულია სხვადასხვა საკითხები. ავირჩიოთ What's new in Windows XP სტრიქონი და დავაწკაპუნოთ მასზე. ფანჯარა მიიღებს განსხვავებულ (Windows Explorer ფანჯრის მსგავს) სახეს: იგი დაყოფილია ორ ნაწილად. მარცხენა ნაწილში ისევ ჩანს ჩამონათვალი, რომელიც წარმოადგენს წინა თემის ქვესაკითხებს, ხოლო ერთერთი ქვესაკითხის არჩევის შემთხვევაში მარჯვენა ნაწილში გამოჩნდება შესაბამისი განმარტებები. შესაძლებელია, საინფორმაციო ფანჯრის მარჯვენა

ნაწილში იყოს შემოთავაზებული ქვესაკითხის დაზუსტების ქვეპუნქტები და ა.შ. ანუ, ერთი სიტყვით, საცნობარო მასალა დალაგებულია იერარქიული პრინციპით.

თუ მომხმარებელმა ზუსტად იცის, რა ინფორმაციას ეძებს, მას შეუძლია ტექსტურ Search Set search options ველში შეიტანოს საძიებელი საკითხის

შესაბამისი სიტყვა ან ფრაზა და დააჭიროს 🖻 ღილაკს.

Windows-ს გააჩნია საცნობარო ინფორმაციის რამდენიმე დონე:

- ლოკალური მომხმარებელს შეუძლია ისარგებლოს მხოლოდ მის კომპიუტერში არსებული საცნობარო ინფორმაციით.
- ინტერნეტი მომხმარებელს შეუძლია Windows-ის საცნობარო სისტემის მეშვეობით დახმარება მიიღოს Microsoft-ის საკვანძო კომპიუტერებიდან. ამასთან, ინტერნეტიდან მიღებული ინფორმაციით Windows ავტომატურად ანახლებს ინფორმაციას ლოკალურ კომპიუტერზე.
- Microsoft-ის დახმარების სამსახური მომხმარებელს შეუძლია Windows-ის ცნობარის საშუალებით დახმარებისათვის მიმართოს Microsoft-ის სპეციალისტს და დაელოდოს მის პასუხს.

ბოლო ორი ტიპის დახმარებისათვით საცნობარო სისტემის ძირითად ფანჯარაში უნდა ავირჩიოთ პუნქტი Send your feedback to Microsoft.

სავარჯიშოები:

Desktop-ის კონტექსტური მენიუს მეშვეობით შექმენით რამდენიმე ობიექტი. თანმიმდევრობით წაშალეთ ეს ობიექტები Desktop-დან ყველა თქვენთვის ცნობილი ხერხის გამოყენებით.

🎟 აღადგინეთ წაშლილი ობიექტები Recycle Bin ფანჯრის მენიუს საშუალებით.

Ֆ გახსენით Desktop-ზე განთავსებული რომელიმე საქაღალდე, გადაიტანეთ მასში წაშლილი და შემდეგ აღდგენილი ობიექტები. ახლა წაშალეთ ეს ობიექტები ფანჯრის მენიუს დამოყენებით, ფანჯრის ინსტრუმენტების პანელზე შესაბამისი ღილაკის დახმარებით, კლავიატურის დახმარებით.

გაააქტიურეთ Recycle Bin-ის ფანჯარა და საბოლოოდ წაშალეთ კომპიუტერის დისკიდან რამდენიმე ობიექტი. ამისათვის მონიშნეთ ისინი და შეასრულეთ File/Delete ბრმანება ან გამოიტანეთ მონიშნული ობიექტების კონტექსტური მენიუ და დააწკაპუნეთ პუნქტზე Delete. 🎟 🛛 გაასუფთავეთ სანაგვე ყუთი მისი კონტექსტური მენიუს დახმერებით.

III შექმენით My Documents ფანჯარაში მოთავსებული რამდენიმე ფაილის იარლიყი. მონიშნეთ ერთ-ერთი და წაშალეთ იგი სანაგვე ყუთში გადატანის გარეშე. დანარჩენები კი "გადაყარეთ" სანაგვე ყუთში.

🎟 გახსენით სანაგვე ყუთი და ფანჯრის მენიუს საშუალებით გაასუფთავეთ იგი.

გამოიძახეთ Windows Explorer პროგრამა ყველა თქვენთვის ცნობილი ხერხით. დაათვალიერეთ აქტიური საქაღალდის შიგთავსი, გადააკოპირეთ ერთ-ერთი ფაილი სხვა საქაღალდეში.

Ֆაააქტიურეთ Windows-ის საცნობარო სისტემა ფანჯრის მენიუდან და მოიძიეთ თქვენთვის საინტერესო ინფორმაცია Windows-ის მუშაობის შესახებ. Windows-ის ცნობარის გამოძახების თქვენთვის უკვე ცნობილი ხერხების გარდა არსებობს კიდევ ერთი: ამოცანების პანელზე Start მენიუს Help and Support ბრძანების შესრულება.

მიმდინარე ტესტირება:

- 1. Desktop-იდან ობიექტის წაშლის რამდენი ხერხი იცით? ჩამოთვალეთ ეს ხერხები.
- საქაღალდის ფანჯრიდან ობიექტის წაშლის რამდენი ხერხი იცით? ჩამოთვალეთ ეს ხერხები.
- 3. სად მოთავსდება ობიექტი წაშლის ბრძანების შესრულების შედეგად?
- როგორ წავშალოთ ობიექტი სანაგვე ყუთში გადაგზავნის გარეშე? დაასახელეთ ყველა თქვენთვის ცნობილი ხერხი.
- 5. წაშლის ბრძანების შესრულებამდე ობიექტი უნდა _____?
- როგორ უნდა აღვადგინოთ წაშლილი ობიექტი სანაგვე ყუთის მენიუს გამოყენებით?
- როგორ უნდა აღვადგინოთ წაშლილი ობიექტი სანაგვე ყუთის ფანჯრის მენიუს გამოყენებით?
- 8. სად იქნება განთავსებული აღდგენილი ობიექტი?
- 9. როგორ უნდა აღვადგინოთ ობიექტი ნებისმიერ საქაღალდეში?
- 10. როგორ შევასრულოთ სანაგვე ყუთის გასუფთავება Recycle Bin ფანჯრის მენიუს საშუალებით?
- 11. როგორ შევასრულოთ სანაგვე ყუთის გასუფთავება **Recycle Bin**-ის კონტექსტური მენიუს საშუალებით?
- 12. რისთვის გამოიყენება Recycle Bin-ის კონტექსტური მენიუს ბრმანება Properties ?
- 13. სანაგვე ყუთის თვისებებში რომელი რეჟიმი უნდა იყოს ჩართული იმისათვის, რომ წაშლის შემთხვევაში ობიექტი არ მოთავსდეს მასში?
- 14. სანაგვე ყუთის მეხსიერება დისკის მეხსიერების რამდენ პროცენტს შეადგენს?
- 15. დისკის მეხსიერების რამდენი %-ა რეკომენდირებული სანაგვე ყუთის მეხსიერებისათვის?
- 16. სანაგვე ყუთის თვისებებში რომელი რეჟიმი უზრუნველყოფს ობიექტის წაშლის შემთხვევაში გაფრთხილების გამოტანას?
- 17. რას ემსახურება Windows Explorer პროგრამა?
- 18. როგორ გამოვიძახოთ Windows Explorer პროგრამა? ჩამოთვალეთ ყველა თქვენთვის ცნობილი ხერხი.
- 19. რას აღნიშნავს საქაღალდეების ხეში საქაღალდის პიქტოგრამის წინ "+" ნიშანი?

- 20. რას აღნიშნავს საქაღალდეების ხეში საქაღალდის პიქტოგრამის წინ "-" ნიშანი?
- 21. რა მოხდება საქაღალდეების ხეში "+" ნიშანზე დაწკაპუნებისას?
- 22. რა მოხდება საქაღალდეების ხეში "-" ნიშანზე დაწკაპუნებისას?
- 23. რას აჩვენებს ის ფაქტი, რომ საქაღალდეების ხეში საქაღალდის წინ არავითარი ნიშანი არ არის?
- 24. როგორ მოვახდინოთ ობიექტის კოპირება Windows Explorer-ის გამოყენებით?
- 25. როგორ მოვახდინოთ ობიექტის გადატანა Windows Explorer-ის გამოყენებით?
- 26. რისთვის გამოიყენება ფანჯრის File/Open ბრმანება?
- 27. რისთვის გამოიყენება ფანჯრის File/Send to ბრძანება?
- 28. რისთვის გამოიყენება ფანჯრის File/Create Shortcut ბრმანება?
- 29. რისთვის გამოიყენება ფანჯრის File/ Rename ბრძანება?
- 30. კლავიატურის რომელი კლავიშის დაჭერაა ანალოგიური File/Rename ბრმანების შესრულებისა?
- 31. რას ემსახურება ბრძანება File/Properties?
- 32. კლავიშების რა კომბინაციის მოქმედებაა ტოლფასი File/Properties ბრმანებისა?
- 33. რისთვის გამოიყენება ფანჯრის Edit/ Undo ბრმანება?
- 34. კლავიშების რა კომბინაციის მოქმედებაა ტოლფასი Edit/ Undo ბრძანებისა?
- 35. რისთვის გამოიყენება ფანჯრის Edit/ Paste Shortcut ბრმანება?
- 36. რა მოქმედება აქვს ფანჯრის Edit/ Select All ბრმანებას?
- 37. კლავიშების რა კომბინაცია მონიშნავს ყველა ობიექტს ფანჯარაში?
- 38. რა მოქმედებაა აქვს ფანჯრის Edit/ Invert Selection ბრძანებას?
- 39. რა დანიშნულება აქვს ფანჯრის View/ Refresh ბრძანებას?
- 40. რა დანიშნულება აქვს კლავიატურის F5 კლავიშის მოქმედებას?
- 41. რისთვის გამოიყენება ფანჯრის Help/ Help and Support Center ბრძანება?
- 42. როგორ გამოვიძახოთ Windows-ის საცნობარო სისტემა? დაასახელეთ ყველა თქვენთვის ცნობილი ხერხი.
- 43. რა დანიშნულება აქვს კლავიატურის F1 კლავიშის მოქმედებას?
- 44. რა დანიშნულება აქვს Start/ Help and Support ბრმანებას?
- 45. Windows Explorer პროგრამის გამომახების რამდენი ხერხი იცით? ჩამოთვალეთ ყველა თქვენთვის ცნობილი ხერხი.